წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N4
31 იანვარი 2024 წ.

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის''24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.გ''ქვეპუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლების, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტისა და ,,სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის N 784 ბრძანებულების შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი“.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 თებერვლის N 10 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **კორნელი სალია**

დანართი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

მუხლი 1.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების 1 კვ.მეტრი მიწის ნორმატიული ფასი/ შეამდგომში ,,მიწის ნორმატიული ფასი''/ დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_n = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$ სადაც:

ა) C_n - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG}- არის წალენჯიხის მაკრო მდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,37-ს.

გ) I_{TL}- არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს/ რადგან წალენჯიხაში ზონირება არ ხორციელდება/;

დ) C- არის არასასოფლო-სამეურნეო დანისნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს;

ე) K- არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 100-ს.

მუხლი 2.

პირველი მუხლის მიხედვით წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვ. მეტრის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

ა) ქ. წალენჯიხის და ქ. ჯვარის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს:

I_{MG}	I_{TL}	C	K	Cn (ლარი)
0,37	1	0,24	100	8,88

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (გარდა ქ. წალენჯიხისა და ქ. ჯვარის ადმინისტრაციული ერთეულებისა) - ამ დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის , ,,ა'' ქვეპუნქტით დადგენილი ფასის 50 % ოდენობით / 4,44 ლარი/;

გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში (გარდა ქ.წალენჯიხისა და ქ.ჯვარისა) გამავალი შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მ. რადიუსში (ორივე მხარეს) მდებარე არეალში - ამ დადგენილების მე-2 მუხლის, პირველი პუნქტის, ,,ა'' ქვეპუნქტით დადგენილი ფასის 55% ოდენობით /4,80 ლარი/;

დ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში - ამ დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, ,,ა'' ქვეპუნქტით დადგენილი ფასის 25% ოდენობით /2,22 ლარი/;

ე) სოფ. ჯგალის სქურის უბანში - ამ დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, ,, ა'' ქვეპუნქტით დადგენილი ფასის 80% -ის ოდენობით /7,10 ლარი/.